პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ჩოხატაურში წერეთლის ქ.N2-ში მდებარე მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - N28.01.22.082) პირველ სართულზე არსებული 42.6 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართის, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, სარგებლობის ფორმით (იჯარა) გაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის , ამავე მუხლის მე-4 პუნქტის და საქარველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა „ჩოხატაურში წერეთლის ქ.N2-ში მდებარე მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შნობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - N28.01.22.082) პირველ სართულზე არსებული 42.6 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართის,კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, სარგებლობის ფორმით (იჯარა) გაცემის შესახებ.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: მარინე ბერაძე

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის , ამავე მუხლის მე-4 პუნქტის და საქარველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე საკრებულო უფლებამოსილია გასცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვადიან სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე